



2146013452863

www.info.court.ge

## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით  
ხარვეზის დადგენის შესახებ

საქმე №3/8948-15

24 ნოემბერი, 2015 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე მირანდა ერემაძე

ერთპიროვნულად განიხილა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივის“ სასარჩელო განცხადების სასამართლოს წარმოებაში მიღების საკითხი და

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2015 წლის 19 ნოემბერს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელმა ნინო გუჯარაიძემ სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების: საქართველოს მთავრობის, შპს „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედი“-ს შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“, შპს „ენერგოტრანსის“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიმართ, საქართველოს მთავრობას, შპს „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს“, შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2011 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულების და იმავე მხარეებს შორის 2015 წლის 09 სექტემბერს დადებული შეთანხმების ცვლილებების შეტანის შესახებ, ბათილად ცნობა.

სასამართლომ განიხილა სარჩელო განცხადების სასამართლოს წარმოებაში მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიაჩნია, რომ სასარჩელო განცხადება არ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე და 445-ე მუხლის მოთხოვნებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სასამართლო მიუთითებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი. ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის თანახმად, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის

სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს: მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს; ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში. მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

- მოცემულ შემთხვევაში, სარჩელს ერთვის 2015 წლის 20 აპრილის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლის თანახმად, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივის“ ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია თავმჯდომარე - მანანა ქოჩლაძე. წარმოდგენილ სარჩელს კი ხელს აწერს ნინო გუჯარაიძე, როგორც ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივის“ აღმასრულებელი დირექტორი, თუმცა, სარჩელს არ ერთვის შესაბამისი მინდობილობა, ან კრების ოქმი, რის გამოც, სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოსადგენია მის მიერ სარჩელის აღძვრის უფლებამოსილების დამადასტურებელი მტკიცებულება.

- წარმოსადგენია საქართველოს მთავრობას, შპს „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს“, შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2011 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულების და იმავე მხარეებს შორის 2015 წლის 09 სექტემბერს დადებული შეთანხმების ცვლილებების შეტანის შესახებ, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი სრული სახით.

- ასევე, სარჩელსა და ხელშეკრულებაში არსებული უზუსტობიდან გამომდინარე, მოპასუხეთა სამართლებრივი ფორმის სწორად განსაზღვრისთვის წარმოსადგენია ამონაწერები მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

სასამართლო მოსარჩელის ყურადღებას მიაქცევს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც

ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი განჩინების გამოტანის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მთლიანად უნდა დაბრუნდეს.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სარჩელი შეიცავს ხარვეზს. მითითებული ხარვეზის შესავსებად მოსარჩელეს უნდა მიეცეს 10 (ათი) დღის ვადა, ხარვეზის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისთვის უკან დაბრუნების შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე, 447-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელში არსებული ხარვეზის შესავსებად მიეცეს 10 (ათი) დღის ვადა, - განჩინების ჩაბარების დღიდან.
2. განემარტოთ მოსარჩელებს, რომ თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ.
3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შემოტანა არ დაიშვება.

მოსამართლე

მირანდა ერემაძე